

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 1

ქ. თბილისი

2 აპრილი 2013

§ 1

შეიცვალოს ინსტიტუტის სტუდენტების ცოდნის შეფასების წესები მიმდინარე წლის აპრილის თვიდან, შემდეგი მიდგომების გათვალისწინებით:

1. შუალედური ტესტირება ყველა წიგნში ჩატარდეს ორჯერ;
2. პირველი შუალედური ტესტირება ჩატარდეს პროგრამის 30-40%-ის დასრულებიდან 10 დღეში;
3. მეორე შუალედური ტესტირება ჩატარდეს პროგრამის 70-80%-ის დასრულებიდან 10 დღეში;
4. შუალედური ტესტირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 2 ასტრონომიული საათით;
5. ტესტებში შესაძლო ქულათა ზღვარი განისაზღვროს I დონის წიგნებში 80-100 ქულით, II და III დონის წიგნებში 50-60 ქულით;
6. შუალედური ტესტირებისათვის შედეგები შეფასდეს შემდეგი ქულებით:

| | |
|-------------|-----------|
| ➤ 0-41%-მდე | - 0 ქულა |
| ➤ 41-50% | - 5 ქულა |
| ➤ 51-60% | - 6 ქულა |
| ➤ 61-70% | - 7 ქულა |
| ➤ 71-80% | - 8 ქულა |
| ➤ 81-90% | - 9 ქულა |
| ➤ 91-100% | - 10 ქულა |
7. შუალედური ტესტირების შედეგად სტუდენტების შეფასება საადრიცხვო პროგრამაში აიტვირთოს ლექტორის მიერ ტესტირების თარიღიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;
8. სემესტრული ტესტირებისათვის დადგინდეს:

| |
|---|
| ➤ შესაძლო ქულების რაოდენობა – 80 ქულა; |
| ➤ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი – 40 ქულა; |
| ➤ ტესტირების ხანგრძლივობა I დონის წიგნებში 2 ასტრონომიული საათი; II და III დონის წიგნებში 3 ასტრონომიული საათი. |
9. სემესტრული ტესტირების შედეგად სტუდენტების შეფასება საადრიცხვო პროგრამაში აიტვირთოს ადმინისტრაციის მიერ, ტესტირების თარიღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
10. სტუდენტის ცოდნის საბოლოო შეფასება ხდება შუალედური და სემესტრული ტესტირების შედეგად მიღებულ ქულათა შეკრებით, შემდეგი გათვალისწინებით:

| |
|---|
| ➤ მიიჩნევა, რომ სტუდენტი, რომელიც ვერ გადალახავს სემესტრული ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, არ აკმაყოფილებს ცოდნის მინიმალურ დონეს და ფასდება 0 ქულით. ასეთ სტუდენტს უნარჩუნდება შუალედური ტესტირების შედეგი, შემდეგ სემესტრში საბოლოო შეფასებისათვის; |
| ➤ საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50 ქულას; |
| ➤ მიიჩნევა, რომ სტუდენტი, რომელიც ჯამური ქულებით ვერ გადალახავს საბოლოო შეფასებისათვის დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს, არ აკმაყოფილებს ცოდნის მინიმალურ დონეს და ფასდება 0 ქულით. ასეთ სტუდენტს უნარჩუნდება შუალედური ტესტირების შედეგი, შემდეგ სემესტრში საბოლოო შეფასებისათვის. |

§ 2

დადგენილი შეფასების წესები ძალაში შევიდეს 2013 წლის 2 აპრილიდან.

§ 3

ბრძანება გამოქვეყნდეს ინსტიტუტის ვებგვერდზე და გამოიკრას ინსტიტუტის საინფორმაციო დაფაზე.

§ 4

მიმდინარე წლის აპრილის ბოლომდე მომზადდეს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის სტუდენტების ცოდნის შეფასების წესები“ ახალი რედაქციით, ამ ბრძანებით დადგენილი ცვლილებების გათვალისწინებით.

§ 5

ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს განათლების კოორდინატორს.